მემორანდუმი

შპს „ფსიქოთერაპიულ გეშტალტ კლინიკასა „ და შპს „თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ.თბილისი 31 მაისი 2021 წ.

შპს „ფსიქოთერაპიული გეშტალტ კლინიკა“ (შემდგომში „კლინიკა“) წარმოდგენილი კლინიკის დირექტორი, ლია თუშიშვილის სახით და შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“, (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის - ქ-ნი ირინე არჯევანიძის სახით, აცნობიერებენ რა ქვეყნის განვითარებისათვის განათლების მნიშვნელობას და მიზნებს, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნები, და გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზნები

მემორანდუმის მიზნებს წარმოადგენს:

1.1. თანასწორუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობების და საგანმანათლებლო ხასიათის ინფორმაციის ორმხრივად ურთიერთგაცვლა;

1.2. მხარეები სთავაზობენ ერთმანეთს სტუდენტების საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ერთად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა შემეცნებითი ხასიათის ლექცია/ტრენინგები, კონფერენციები.

1.3.„კლინიკა“ ხელს შეუწყობს „უნივერსიტეტის“ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირებას და პროფესიული პრაქტიკის გავლას წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

2.მემორანდუმის მოქმედების ვადა და სხვა პირობები

2.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;

2.2. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
2.3. მემორანდუმი შეიძლება გაუქმდეს რომელიმე მხარის მხრიდან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდებიდან 1 თვის ვადაში, მემორანდუმის გაუქმების დროისთვის არსებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.
2.4. ცვლილებები მემორანდუმში საჭიროებს მხარეთა თანხმობას და სრულდება წერილობითი ფორმით.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1.წინამდებარე მემორანდუმის მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპების გათვალისწინებით.
3.2.მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობა, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.
3.3. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას და მემორანდუმის ფარგლებში და მის გარეთ განხორციელებული ქმედებებით ზიანი არ მიაყენონ მეორე მხარის ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.
3.4. თუ თანამშრომლობის პროცესში, წინასწარ ურთიერთშეთანხმებული მომსახურების მიღება წარმოიშობს ფინანსურ ვალდებულებას, ასეთ შემთხვევაში უნდა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება.

4. ცვლილებები და დამატებები

4.1. წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი სახის ცვლილება, შესწორება ან/და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი გაფორმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

5.მხარეთა ურთიერთობა

5.1. ამ მემორანდუმის საფუძველზე წარმოებული მხარეთა ურთიერთობა არ ნიშნავს მხარეთა შორის რაიმე სახის ასოციაციის, კავშირის ან/და გაერთიანების შექმნას.
5.2. მესამე პირებთან ურთიერთობებში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით.
5.3. მხარეები საქმიანობას წარმართავენ პარტნიორობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

6.2. ადასტურებენ რა ზემოაღნიშნულს, მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე მემორანდუმს იმ დღესა და წელს, რომელიც მითითებულია მემორანდუმში.

8. მხარეთა რეკვიზიტები

შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“ მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ N31 საიდენტიფიკაციო № 206046045 ტელ.: (+995 32) 254 59 08, (+995 32) 254 59 09, (+995 32) 255 24 24 ფაქსი.: (+995 32) 254 59 09 ელ-ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge ..... ი. არჯევანიძე ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი	შპს“ ფსიქოთერაპიული გეშტალტ კლინიკა“ მის.: საქართველო, ქ. თბილისი ალ.ყაზბეგის 22 გ საიდენტიფიკაციო № 405 22 9239 ტელ.: 032 210 20 10 (+995) 555 37 25 556 (+995) 597 37 22 73 ელ.ფოსტა: info@gestaltclinic.ge ..... ლ. თუშიშვილი ფსიქოთერაპიული გეშტალტ კლინიკის დირექტორი